საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის აპოლონ ძუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა

სახელოვნებათმცოდნეო კვლევები
(ქართული ხელოვნების ისტორია)
Art History Studies
(History of Georgian Art)

პროგრამის ხელმძღვანელები:

ნინო ღაღანიძე

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, თსსა პროფესორი

ანა კლდიაშვილი

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, თსსა პროფესორი

სამსონ ლეჟავა

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,

თსსა მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

დამტკიცებულია თსსა აკადემიური საბჭოს მიერ. სხდომის ოქმი N21, 24.04.2023

სადოქტორო პროგრამის ზოგადი დახასიათება:

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მისიის ერთ-ერთ პრიორიტეტს ქართული ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სამეცნიერო კვლევა და ამ სფეროში ახალი ცოდნის შექმნა წარმოადგენს.

სახელოვნებათმცოდნეო კვლევების სადოქტორო პროგრამის მიზანი ძველი და ახალი ქართული ხელოვნების კვლევაა, რაც სახელოვნებათმცოდნეო მეცნიერების განვითარების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია.

სადოქტორო პროგრამის ამოცანაა ჰუმანიტარული მეცნიერებების ერთ-ერთი დარგის – ხელოვნებათმცოდნეობის სფეროში თანამედროვე მკვლევარის აღზრდა და მისი მომზადება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური მოღვაწეობისათვის.

პროგრამა ავითარებს როგორც ფართო, აგრეთვე, ნიშანდობლივ სახელოვნებათმცოდნეო მეცნიერების დარგობრივ კომპეტენციებს.

ფართო სფერო (მიმართულება): 02 ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები Arts and Humanities

ვიწრო სფერო (დარგი/სპეციალობა): 021 ხელოვნება. Arts

დეტალური სფერო (ქვედარგი/სპეციალიზაცია): 0213.1.5. ხელოვნების ისტორიისა და თეორიის დოქტორი, PhD in Art History and Theory

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: 0213.1.5. ხელოვნების ისტორიისა და თეორიის დოქტორი

განათლების საფეხური: დოქტორანტურა

პროგრამის მოცულობა: 50 კრედიტი (ECTS)

სწავლების ხანგრძლივობა: *3 -5 აკადემიური წელი.*

სადოქტორო პროგრამის მიზნები:

ქართული ხელოვნების ისტორიის მეცნიერული შესწავლა თითქმის ერთი საუკუნის წინ დაიწყო. ამ დროის განმავლობაში მრავალი საკითხია გამოკვლეული, მრავალი ფაქტი დადგინდა, ბევრი რამ გაკეთდა საქართველოს მხატვრული მემკვიდრეობის რაგვარობის, მსოფლიოს კულტურულ დანატოვარში მისი ადგილის დასადგენად. ამავე დროს, ყოველდღიურად თავს იჩენს ახალი პრობლემები, ჩნდება ახალი კვლევითი მიმართულებები, ახლად აღმოჩენილი მასალა თანამედროვე მოთხოვნებს უყენებს სახელოვნებათმცოდნეო მეცნიერებას როგორც კვლევის დიაპაზონის და მეთოდოლოგიის, ასევე, შეცვლილი ისტორიული, სოციალური, პოლიტიკური თუ სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. გასათვალისწინებელია, ამასთანავე, ქართული ხელოვნებათმცოდნეობის განვითარების თანმდევი პირობებიც. საბჭოთა ხანაში იდეოლოგიური მოთხოვნები ზღუდავდა საკვლევ არეს, ართულებდა საერთაშორისო კავშირების დამყარებასა და შენარჩუნებას, სხვა ქვეყნების მხატვრული შემოქმედების გაცნობას. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ XX საუკუნის შემსწავლელნი, რომლებსაც არ შეეძლოთ, განეხილათ ქართველ ხელოვანთა ნაღვაწი მსოფლიოს მხატვრულ-ისტორიულ პროცესებთან
მიმართებით. თუმცა, გ. ჩუბინაშვილის დაფუძნებულმა ქართულმა სახელოვნებათმცოდნეო სკოლამ ამ კვლევით ასპარეზსაც მყარი ნიადაგი შეუმზადა, აქ გამორჩეულად ბევრი საკეთებელი დაგროვდა. დამოუკიდებლობის ხანამაც თავისი, სხვაგვარი სირთულეები მოიტანა. ერთი მხრივ, ნივთიერმა გასაჭირმა რამდენადმე შეაფერხა მკვლევართა მუშაობა; მეორე მხრივ, მსოფლიოსადმი ხსნილობას მეტი მომთხოვნელობა მოჰყვა. ახალ ვითარებაში სავსებით აუცილებელია საერთო დონის ამაღლება, საერთაშორისო სამეცნიერო პროცესებისათვის ფეხის შეწყობა, ბოლოდროინდელ მონაპოვართათვის
ანგარიშის გაწევა. ყველა ამ გარემოებიდან გამომდინარე, თანამედროვეობის კვალობაზე გ. ჩუბინაშვილის სკოლის ტრადიციების გასაგრძელებლად, მისთვის ჩვეული მრავალმხრივი, ინტერდისციპლინული მიდგომის გასაღრმავებლად, ქართული ხელოვნების სადოქტორო პროგრამის მიზნებია:

• ქართული ხელოვნების მოვლენათა მსოფლიო ხელოვნების ფართო კონტექსტში კვლევა;
• სხვადასხვა დროის ქართული ხელოვნების ტენდენციებისა და ისტორიული საფეხურების შესწავლა, მათი კრიტიკული ანალიზი, სხვადასხვა კულტურული წრის შემოქმედებასთან მიმართებების გარკვევა და, შესაბამისად, ქართული ხელოვნების ნაწარმოებების მნიშვნელობის წარმოჩენა;
• არსებული სამეცნიერო სპეციფიკური მეთოდების კრიტიკული გააზრება, ინოვაციური მიდგომების შემოტანა თვისობრივად ახალი ცოდნის შესაქმნელად;
• დღევანდელობის მიერ წამოჭრილი კვლევითი პრობლემების განსაზღვრა და მათი გადაჭრის გზების დასახვა;
• ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული მეცნიერ-მკვლევარისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგის მომზადება, რომელიც დაგროვილ ცოდნას მომავალ თაობებს გადასცემს

სწავლის შედეგები

1. დოქტორანტი ფლობს სფეროს (ქართული ხელოვნების ისტორიის) უახლეს მიღწევებზე დამყარებულ ღრმა და სისტემურ ცოდნას, რაც საშუალებას აძლევს გააფართოოს, განაახლოს არსებული ცოდნის ფარგლები და

შექმნას ახალი ცოდნა;

2. დოქტორანტი ფლობს ხელოვნების კვლევის მეთოდების (მათ შორის, ინტერდისციპლინურ მეთოდებს) შესახებ საფუძვლიან ცოდნას და აცნობიერებს მათ მნიშვნელობასა და საჭიროებას მეცნიერების უახლესი სტანდარდებით ქართული ხელოვნების კვლევისას;
3. დოქტორანტი აცნობიერებს ქართული ხელოვნების საკვლევი პრობლემების მნიშვნელობას და შეიმუშავებს მათი გადაჭრის სამეცნიერო მიდგომებსა და მეთოდებს;
4. დოქტორანტი აცნობიერებს ხელოვნების ისტორიის სფეროში ერთმანეთის გამომრიცხავი ინფორმაციის, წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და შეფასების მნიშვნელობას სფეროში ჩასატარებელი სამეცნიერო კვლევისათვის;
5. დოქტორანტი აცნობიერებს ქართული ხელოვნების მსოფლიო ხელოვნების ისტორიის კონტექსტში გააზრების აუცილებლობას;
6. დოქტორანტი აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით წარმოებული მისი ორიგინალური კვლევის შედეგების საზოგადოებისათვის სარგებლიანობისა და კუტურის თანამედროვე სივრცეში მათი გამოყენების შესახებ.
7. დოქტორანტს აქვს დარგში არსებული ცოდნის გააზრების, შეფასება-გადაფასებისა და აქვს დამოუკიდებლად ახალი კვლევითი მეთოდების, ან ახალი მიდგომების შემუშავების საფუძველზე ახალი ცოდნის შექმნის უნარი;
8. დოქტორანტს შეუძლია სფეროში არსებული აქტუალური საკითხების გაანალიზება, მსჯელობა; ერთმანეთის გამომრიცხავი ინფორმაციის, წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი , შეფასება და ამ უნარების საფუძველზე მას შეუძლია კომპლექსური პრობლემების გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილებების მიღება;
9. დოქტორანტს შეუძლია კვლევის შედეგებისკოლეგებისა და საზოგადოებისათვის ნათლად და გარკვევით გადაცემა, სამეცნიერო ნაშრომის აკადმიური კეთილსინდისიერების პრინციპებით და საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით შესრულება.

10. დოქტორანტს აქვს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე გამართულ თემატურ დისკუსიებში მონაწილეობის უნარი.

11. დოქტორანტს შეუძლია ხელოვნების ისტორიის კვლევების სფეროში კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა და

წარმართვა; საკუთარი მოსაზრებებისა და ინოვაციური მიდგომების არგუმენტირებულად დაცვა და საკუთარი კვლევითი პროექტის/თემის განვითარებაზეორინტირებული ვექტორების მონიშვნა.

12. დოქტორანტი ხელოვნების ისტორიის სფეროში ქმნის სხვადასხვა სახის სასწავლო კურსებს/პროგრამებს და ახორციელებს აკადემიურ, სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობას, ამკვიდრებს ღირებულებებს.

<u>სადოქტორო პროგრამაზე მიღების პირობები:</u>

• სახელოვნებათმცოდნეო კვლევების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ჰუმანიტარულ და სოციალურ დარგებში მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც აკმაყოფილებს დოქტორანტურის დებულებით დადგენილ მოთხოვნებს;

• სახელოვნებათმცოდნეო კვლევების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით;

- სახელოვნებათმცოდნეო კვლევების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე;
- დოქტორანტურაში ჩარიცხვის აუცილებელი პირობაა სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის (თანახელმძღვანელთა) დასაბუთებული შუამდგომლობა; ხელმძღვანელთან შეთანხმებული უნდა იყოს საკვლევი თემის მიზანშეწონილობა და რელევანტურობა;
- პროგრამაზე ჩარიცხვა მოხდება მომავალი სამეცნიერო პროექტის შედეგების წარდგენის საფუძველზე.
- აპლიკანტმა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წინაშე უნდა გააკეთოს საკუთარი სამეცნიერო პროექტის ვრცელი ზეპირი პრეზენტაცია (საილუსტრაციო მასალითურთ, მაქსიმუმ 40 წთ.); პრეზენტაციის დროს კონკურსანტს მოეთხოვება ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წინაშე წარადგინოს საკვლევად შერჩეული თემა, ძირითადი პრობლემატიკა, ამ პრობლემების გადაჭრის სავარაუდო გზები და სავარაუდო კვლევის მეთოდები;
- აპლიკანტმა საბჭოს უნდა წარუდგინოს რეფერატი საკვლევ საკითხზე, არა ნაკლებ 15 გვერდისა (Sylfaen- 11/12).
- •უცხო ენის B2 (ALTE) დონეზე ცოდნის სერთიფიკატის წარდგენისაგან თავისუფლდება პირი, რომელსაც საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამა გავლილი და დასრულებული აქვს ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ ენებზე.

- პროგრამაზე ჩარიცხვის აუცილებელი პირობაა უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი;
- დოქტორანტურაში ჩაბარების მსურველს შეუძლია წარმოადგინოს უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი, რომელიც გაცემული უნდა იყოს კომპეტენტური ორგანოს მიერ (გერმანულ ენაში: Goethe – Zertifikat B2, ვისაც აქვს ჩაბარებული: Zertifikat Deutsch für den Beruf, DAF, Sprachdiplom Kultrusminister და Konferenz, ZMP, Zentrale Oberstufenprüfung, Kleines/Grosses Deutsches Sprachdiplom, DSH; ინგლისურ ენაში: - CEFR B2, IELTS exam – 5, BEC exam and CELS exam – Vantage, Cambridge exam – FCE, Pritman ESOL Internationa l, TOEIC – 541, TOEFL: – 500 (paper - based), 173 (computer - based), 61 (internet - based); ფრანგულ ენაში - Diplome de Langue Francaise (DL) (AF), Diplome d'Etudes en Langue Francaise DELF/B2 (CIEP). სერტიფიკატი გაცემული უნდა იყოს ბოლო სამი წლის განმავლობაში.
- ყველა სხვა შემთხვევაში პირი ვალდებულია ჩააბაროს თსსა–ს მიერ ორგანიზებული უცხო ენის გამოცდა;
- თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება კანდიდატს, რომელსაც აქვს სამაგისტრო განათლება ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კვლევების სფეროში, ასევე, თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება იმ კანდიდატსაც, რომელსაც არა აქვს სამაგისტრო განათლება შესაბამისი მიმართულებით, მაგრამ აქვს პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება ან/და შრომები შესაბამის სფეროსა თუ მასში შემავალ ცალკეულ დარგებში.
- პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია გამჭვირვალე, საჯარო და ხელმისაწვდომია როგორც აპლიკანტებისათვის, ასევე სხვა დაინტერესებული პირებისათვის უნივერსიტეტის ვებგვერდის მეშვეობით *www.art.edu.ge* აღნიშნული ინფორმაცია ქვეყნდება ვებგვერდზე მისაღები პროცედურების დაწყებამდე ორი თვით ადრე.

<u>სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობა:</u>

საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა – *3-5 წელი.* საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულს ენიჭება: "რესტავრაცია/კონსერვაციის დოქტორის" აკადემიური ხარისხი და ეძლევა სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დიპლომი. დიპლომთან ერთად გაიცემა ევროპის კომისიის, ევროსაბჭოსა და UNESCO/CEPES-ის მიერ შემუშავებული მოდელის შესაბამისი "დიპლომის დანართი".

სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა:

სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტებისაგან. ის მიმართულია კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არჩევითობისა და სწავლების პროცესის ინდივიდუალიზაციის საფუძველზე პერსონალური სამუშაო გამოცდილების უნარ-ჩვევების შეძენისაკენ.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლება მიმდინარეობს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (**ECTS** -ის) ძირითადი მოთხოვნების გათვალისწინებით.

დოქტორანტურაში სასწავლო პროცესი შედგება სააუდიტორიო და დამოუკიდებელი მუშაობისაგან. სააუდიტორიო მეცადინეობების პროცესში ჭარბობს სემინარული და პრაქტიკული მეცადინეობები, რაც უზრუნველყოფს დამოუკიდებელი მუშაობისათვის საათების მეტ რაოდენობას, სააუდიტორიო მეცადინეობებისათვის გამოყოფილ საათებთან შედარებით. პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი ნაწილი ითვალისწინებს სადისერტაციო თემაზე მუშაობას, ქოლოქვიუმებს, სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადებასა და გამოქვეყნებას, საკონფერენციო მოხსენებების მომზადებას.

სასწავლო კომპონენტი გულისხმობს დოქტორანტის უზრუნველყოფას გენერალიზებული სალექციო კურსებით, სემინარული მუშაობით სპეციალობაში და ინტერდისციპლინური არჩევითი სემინარებით. კურსის ფარგლებში ცალკეული მსხვილი თემის ირგვლივ აქცენტები გაკეთდება ძირითად თეორიულ და მეთოდოლოგიურ საკითხებზე: სპეციალური ლიტერატურის, ვიზუალური ინფორმაციული მასალის

განხილვა/ანალიზი; განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ე.წ. უკუგებას (feedbeck), დისკუსიებს, პრეზენტაციებს.

აკადემიური სწავლების ეს ფორმები შერწყმული იქნება პრაქტიკულ საქმიანობასთან, რაც კვლევის ყველაზე თანამედროვე მეთოდების ათვისების კარგ შესაძლებლობას იძლევა. განსაკუთრებული ყურადრება მიენიჭება უმაღლესი სკოლის პედაგოგიკასა და განათლების მართვის შესწავლას.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელება დაიწყება სასწავლო კომპონენტის პარალელურად, წინასწარშემუშავებული დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმის მიხედვით.

1 კრედიტი შეესაბამება 25 საათს და გულისხმობს დოქტორანტის მიერ პროგრამის დაუფლებას როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის გზით.

სასწავლო კომპონენტი სასწავლო კომპონენტის მოცულობა ჯამში **50 ECTS**-ია**,** საიდანაც სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტები **45 ECTS**-ია**,** ხოლო სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტები **- 5 ECTS.**

სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტები (45 ECTS): სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კვლევების სფეროში დოქტორანტის ცოდნის გაღრმავებას, მისი კვლევითი უნარების განვითარებას, მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში და ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის.

სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტებია**:**

- საფაკულტეტო სასწავლო კურსები (სავალდებულო) – 15ECTS (5+5+5)
- სემინარი სპეციალობაში (სავალდებულო) – 20ECTS (10+10)
- ინტერდისციპლინური სემინარი (სავალდებულო, არჩევითი) – 10ECTS
- არჩევითი საგნები – 5ECTS

#	საფაკულტეტო სასწავლო კურსები	**15 ECTS**
1	ხელოვნების ისტორიის კვლევის თანამედროვე მეთოდები	5 ECTS
2	უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა	5ECTS
3	პროფესორის ასისტირება	5ECTS

	სემინარები	**30 ECTS**
1	სემინარი სპეციალობაში 1	10 ECTS
2	სემინარი სპეციალობაში 2	10 ECTS
3	ინტერდისციპლინური სემინარი	10 ECTS

არჩევითი სასწავლო კომპონენტი:

არჩევითი სასწავლო კომპონენტის მიზნად ისახავს, დოქტორანტს მისცეს შესაძლებლობა გაიფართოოს თვალსაწიერი სხვადასხვა სფეროში, რაც მას დაეხმარება პროფესიულ ზრდასა და განვითარებაში, აგრეთვე, საკვლევ თემასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღებაში.

პროგრამაში არჩევითი ელემენტები წარმოდგენილია შემდეგი სასწავლო კურსების სახით **(5 ECTS):**

	არჩევითი სასწავლო კურსები	**ECTS**
1	შემოქმედების ფილოსოფია და ჰუმანიტარული ცოდნა	5 ECTS
2	საკრალური და პროფანული	5 ECTS
3	დასავლეთის კულტურა და ცივილიზაცია	5 ECTS
4.	ორნამენტის თეორია	5 ECTS

კვლევითი კომპონენტი
კვლევითი კომპონენტი მოიცავს:

	კვლევითი კომპონენტი
1	კოლოკვიუმი 1
2	კოლოკვიუმი 2

3	კვლევითი (საკვალიფიკაციო) ნაშრომის შესრულება და მისი დაცვა/საჯარო პრეზენტაცია

კოლოკვიუმი არ ფასდება ნიშნით, მაგრამ სავალდებულოა და დაცვაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს (იხ. კოლოკვიუმის შეფასების კრიტერიუმები).

III.2.<u>სადოქტორო პროგრამის სასწავლო გეგმა</u>

№	დაშვების წინაპირობა	საგანი	ECTS კრედიტი					
			I წელი		II წელი		III წელი	
			სემესტრი					
			1	2	3	4	5	6
		სასწავლო კომპონენტის სავლადებულო ელემენტი	25	25				
1	არ გააჩნია	ხელოვნების ისტორიის კვლევის თანამედროვე მეთოდები	5					
2	არ გააჩნია	უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა	5					
3	არ გააჩნია	პროფესორის ასისტირება		5				
4	არ გააჩნია	სემინარი სპეციალობაში 1	10					

5	არ გააჩნია	სემინარი სპეციალობაში 1		10				
6	არ გააჩნია	ინტერდისციპლინური სემინარი		10				
		სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტები	5					
7	არ გააჩნია	შემოქმედების ფილოსოფია და ჰუმანიტარული ცოდნა						
8	არ გააჩნია	საკრალური და პროფანული						
9	არ გააჩნია	დასავლეთის კულტურა და ცივილიზაცია						
1 0	არ გააჩნია	ორნამენტის თეორია						
		კვლევითი კომპონენტი						
1		კოლოკვიუმი 1			●			
2		კოლოკვიუმი 2				●		
3	სასწავლო კომპონენტის გავლა კოლოკვიუმი 1 კოლოკვიუმი 2	დისერტაციაზე მუშაობა, დასრულება და დაცვა		●	●	●	●	●
		სემესტრში	25	25				

სულ	50 ECTS				